

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შიდასაკონსერვატორიო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონკურსის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი პირობები

1. ეს დებულება განსაზღვრავს „შიდასაკონსერვატორიო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონკურსის“ (შემდეგში - კონკურსი) ჩატარების პირობებს
2. კონკურსის მიზანია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება
3. კონკურსის ორგანიზატორი და განმახორციელებელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი
4. კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულები მიიღებენ სიგელებს
5. კონკურსს აცხადებს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი შესაბამისი ბრძანებით.
6. კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს კონკურსის ჟიური
7. ჟიურის შემადგენლობა განისაზღვრება კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ფაკულტეტის სამუსიკისმცოდნეო მიმართულებების ხელმძღვანელებთან კონსულტაციით.
8. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.

მუხლი 2.

კონკურსის პირობები

1. კონკურსი ტარდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის ბოლოს.
2. დასაშვებია ყოველი მომდევნო წლისათვის კონკურსის პირობების შეცვლა, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით.
3. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, როგორც კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის, ასევე საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტებს.
4. კონკურსი ტარდება შემდეგ ნომინაციებში:
 - 4.1. საუკეთესო კრიტიკული წერილი (ესსე, რეცენზია, სტატია, ინტერვიუ და სხვ.);

4.2. საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო სამეცნიერო ნაშრომი (კვლევითი ხასიათის სტატია, ესსე, მოხსენება)

4.3. სამუსიკისმცოდნეო კრიტიკულ/სამეცნიერო სფეროში აქტიური მონაწილეობისათვის (ხშირი პუბლიკაციები, კონფერენციებში აქტიური მონაწილეობა)

5. თითოეულ ნომინაციაში ერთი გამარჯვებული გამოვლინდება

6. ჟიურის გადაწყვეტილებით შეიძლება გაიცეს სპეციალური დიპლომები

მუხლი 3.

კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადების მიღება ხორციელდება კონკურსის გამოცხადებიდან 5 დღის განმავლობაში.
2. კონკურსის შედეგები გამოცხადდება განაცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

მუხლი 4.

საკონკურსო დოკუმენტები და მათი წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისთვის განმცხადებელმა უნდა გამოაგზავნოს: ა) განცხადება კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ნომინაციის/ების მითითებით ბ) გამოაგზავნოს საკონკურსო მასალა ნომინაციის შესაბამისად.

2. მონაწილეს შეუძლია განაცხადის ერთდროულად რამდენიმე ნომინაციაში წარდგენა

3. კონკურსსანტმა საკონკურსო მასალა უნდა გამოაგზავნოს ელექტრონულ ფოსტის შემდეგ მისამართზე: compose-theory@tsc.edu.ge

ა) „საუკეთესო კრიტიკული წერილის“ ნომინაციაში მონაწილეობისათვის: უნდა გამოაგზავნოს გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი კრიტიკული წერილი (ესსე, რეცენზია, სტატია, ინტერვიუ და სხვ.);

ბ) „საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო სამეცნიერო ნაშრომის“ ნომინაციაში მონაწილეობისათვის: უნდა გამოაგზავნოს გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი სტატია, ან ესსე და სხვ.;

გ) ნომინაციაში „სამუსიკისმცოდნეო კრიტიკულ და/ან სამეცნიერო სფეროში აქტიური მონაწილეობისათვის“ - პუბლიკაციების, კონფერენციების ჩამონათვალი, სადაც მიუღია მონაწილეობა კონკურსსანტს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

